ცნობის ფურცელი

№ 2158 ხუთშაბათი, 22 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2158

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—4 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-119 №-რი.

ნინო დავითის ასული ტარიელაშვილისა და ნინო ხარიტონის ასული მთვარელიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარლის ქმრისა, ხოლო მეორე—დაუვიწყარი ბიძის

პლატონ დიმიტრის ძის ტარიელაშვილისას. (2—2)

25 ამა მაისს ბანქის ბაღში და თავად-აზნაურობის თეატრში
«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»
სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათიდან. ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა. ბაღში იქნება: **საბავშვო გასართობი, ბედის ქვევრი, ფოსტა, მკითხაობა, სიურპრიზები**, თეატრის ფოიეში: **ცეკვა.**

ბაღში შესასვლელი ბილეთი ეღირება 20 კაპ. (ბავშვებისთვის 10 კ.) (3—უ.—2)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კელენის სისტემისა
„იდეალ"
სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია, წყნეთის ქუჩაზე. (0—13(

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ა. ხ. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
ა. მ. ზუბინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.
ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.
მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ა. მ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
ი. პ. ბაბალაშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
დ. ა. გელდიაშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
მ. მ. ამბარდანოვი—საშვილოსნოს, კანის და სიფილისი 1—2 საათამდე.
მრ. მ. ხოდილოვსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთ:
ა. ხ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.
მედმივე ქალი **ბ. დ. ნახარიძე.**
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგურხანის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

სია

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც გადაიხადეს [illegible] 1—15 მაისის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
91	ვახტანგ სიდამონ-ერისთავი	6	—
92	ქრისტეფორე მამაცაშვილი	10	—
93	ანნა ბეგთაბეგიშვილი	6	—
94	ექვთიმე გაშაკიძე	6	—
95	ბლ. დეკა ზუბაშვილი	6	—
96	ბლ. მღ. იოანე შარგიანი	6	—
97	მღ. ლავრენტი დევიძე	6	—
98	მღ. ბესარიონ მახარობლიძე	6	—
99	მღ. ვასილ დოლაბერიძე	6	—
100	მღ. სამსონ დევიძე	6	—
101	დეკ. ერასტი მაჭარაძე	3	—
102	გალაკტიონ თუთბერიძე	6	—
		73	—
	სულ ამ წლის განმავლობაში	735	35

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წლის მოქმედებისა;

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგარიშის შესახებ;

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1903 წლისათვის;

4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა;

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—უ.—1)

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო სთხოვს ამ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ

წლიურ კრებაზე,

რომელიც მოხდება პარასკევს, 23 მაისს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1902 წლის.

2) ანგარიში საბაღოსნო სკოლის მოქმედებისა 1902 წლის.

3) არჩევანი საბჭოს ერთის წევრისა.

კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ. (2—94—1).

რედაქციისაგან.

მაისის დამლევს წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **პრემია შოთა რუსთაველის სურათი.** ვისაც ფული სრულად არ შემოუტანია ან ტფილისს გარედ გასაგზავნად 30 კ. არ გამოუგზავნია, რედაქცია სთხოვს დროზე გამოუგზავნონ ხვედრი ფული.

სამოსახლო ადგილი
300 ჩორსხ. საჟ.
იყიდება
ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.
იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში" ქუჩუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა. № 7, მე-9 ნაწილში. (10—ნ.—9)

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. „დეილი ნიუს"-ის პარიზელი [illegible] სენატის უმეტესობას ძლიერ გაუხარდება, კლერიკალების წინასწარმეტყველება რომ ასრულდეს. კლერიკალები ამბობენ: რომის პაპი ისე გულ-მოსულია საფრანგეთზე, რომ აღმოსავლეთის კათოლიკეთა მფარველობის უფლებას ჩამოართმევს და გერმანიის იმპერატორს გადასცემსო. ასე იმუქრებიან კლერიკალები, მაგრამ თითონვე კი დარწმუნებულნი არიან, რომ პაპი არა იქს ამას, რადგან პაპი თავის შემოსავლის მომეტებულ ნაწილს საფრანგეთიდან იღებს. ლეო მე-XIII-ს ამერიკიდან 4 მილ. ფრანკამდე მოსდის, საფრანგეთიდან კი 20 მილიონამდე, იმის გარდა, რასაც საფრანგეთის მონასტრები, ლურდის სალოცავი და სხვ. უგზავნიან.

◆ როგორც ვიცით, უკიდურესმა მარცხენა პარტიამ ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება მოინდომა; რადიკალმა ჰიუბარმა ამის თაობაზე წინადადებაც შეიტანა, მაგრამ პალატამ 265 ხმით 240 წინაამდეგ უარჰყო ჰიუბარის წინადადება. გაზეთები სწერენ: ჰიუბარის წინადადების წინაამდეგნი იყვნენ 226 ოპოზიციის წევრი და 29 მთავრობის პარტიისა. ამ წინადადებას მიემხრნენ 238 სოციალისტი, რადიკალ-სოციალისტი და რადიკალი და 2 ნაციონალისტი (ლაზი და ლეგერისე). 46 დეპუტატს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღია, ამათ შორის 7 მინისტრს, 37 მთავრობის მომხრე დეპუტატს და 2 ოპპოზიციის წევრსა.

მთავრობის მომხრე გაზეთები ძლიერ გააცხარა ამ დადგენილებამ, სამაგიეროდ ოპპოზიციის გაზეთები ძლიერ გაუხარებია. კომბს ხმა არ ამოუღია ამ საქმეზე, თითონ პალატას მიანდო, როგორც გინდოდეთ, ისე გადასწყვიტეთო. რასაკვირველია, რადიკალებს კომბის ასეთი ქცევა არ მოეწონათ. ზოგიერთი რადიკალი კომბის გადაყენებასაც კი ნდომობს. ესენი უსაყვედურებენ კომბსა: რადიკალებს მაგდენად არად აგდებს, სოციალისტებს კი სულ თვალებში შეჰყურებსო. სოციალისტების გაზეთები მედგრად ესარჩლებიან კომბსა. ჟერო რიშარი სწერს „პტი რესპუბლიკ"-ში: სოციალისტები დემოკრატიის სასარგებლოდ ეხმარებიან კომბსა, ეს დახმარება სრულიად უანგაროა. სოციალისტები არ აჰყვებიან იმ რადიკალებს, რომლებსაც კომბის გადაყენება სწადიანთ იმ აზრით, რომ იმისი ადგილი თითონვე დაიჭირონ.

კლემანსოც კომბს ემხრობა. კლემანსო გაზეთ „აქსიონ"-ში სწერს: კომბი მაინც ერთად ერთი კაცია, რომელსაც შეუძლიან კლერიკალების წინაამდეგ ბრძოლა და კონკორდატის გაუქმების (ანუ ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების) დამზადება.

◆ პარიზში კიდევ მომხდარა შეტაკება კლერიკალებსა და ანტიკლერიკალებს შუა. წარსულ შაბათს მილკოლონის დარბაზში ქრისტიანულ-სოციალისტურმა გაზეთმა „სილონ"-მა დიდი კრება მოახდინა. ამ კრებას სულ კათოლიკეები დაესწრნენ: პატრიოტების ლიგისა, პლებისციტის მიმდევართა და საფრანგეთის სამშობლოს წარმომადგენელნი. კრების გათავების შემდეგ, კათოლიკეები რასპაილის ბულვარისაკენ გაემართნენ, მაგრამ აქ ანტიკლერიკალები დაუხვდნენ. მოპირდაპირენი მუშტით დაერივნენ ერთმანეთს; ზოგმა ქვის სროლა დაიწყო, ზოგმა რევოლვერიც დასცალა. პოლიციამ დიდხანს ვერ გაჰფანტა ხალხი; რამდენიმე პოლიცელი დააშავეს და დასჭრეს. ბრძოლის ველზე ხუთი მძიმედ დაჭრილი კაცი დარჩა. ბევრი ხალხი დაატუსაღეს.

გერმანია (კაცის მკვლელ აფიცრის დასჯა). წარსულ სამშაბათს გერმანიის სამხედრო სასამართლომ ლეიტენანტ რობერტ გიუსენერის საქმე გაარჩია. გიუსენერს თავის ნებით შესულ ჯარის-კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა. [illegible] საზარელი საქმე ჩაუდენია ამ ათიისე გაძლიერებულია, აფიცრებს ისე გულ-ზვიადადა და ამაყად უჭირავთ თავი, რომ ესეთი საშინელი ამბები როდიღა უნდა გიკვირდეთ. მოკლული გარტმანი გიუსენერის ამხანაგი ყოფილა: სკოლაში ერთად უსწავლიათ. გარტმანი ერთხელ გიუსენერს შეჰხვედრია და სამხედრო სალამი არ მიუცია; აფიცერს მაშინვე უბრძანებია, გარტმანი ჰაუპტვახტაში წაიყვანეთო. გზაში გარტმანი უცებ გაქცეულა. გიუსენერი მოსწევია თავის მეგობარს და ხმლით დაუჩეხია; გარტმანს იქვე სული დაულევია. სასამართლოში ბევრი რამ გამოირკვა საზარელი და გულის მომკვლელი. გამოჩნდა, რომ საწყალი გარტმანი მთვრალი ყოფილიყო, გიუსენერს კიდე, თურმე, მეტად მოსწონდა თავი თავის საქციელით და ამაყად ამბობდა ხოლმე: ნახეთ, რა მამაცი და სასტიკი აფიცერი ვარო. სასამართლომ კი სხვა თვალით შეჰხედა საქმეს და გიუსენერს სამსახურიდან გადაყენება, ჩინის აყრა და ოთხის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. პროკურორი მეტსაც თხოულობდა: 6 წლით კატორღაში გავგზავნოთო.

ავსტრო-ჰუნგრეთი (ხორვატიის არეულობა). სტარო-ჩეხების გაზეთი „პოლიტიკ"-ი კიდევ სწერს, რომ ხორვატიაში მთელი ხალხია აჯანყებულიო. ხალხი იმ ადგილებშიაც არა წყნარდება, სადაც სამხედრო წესები შემოიღესო. ხმა დადის, ხორვატიის მთავარ-მართებელმა აუდიენციის დროს იმპერატორს სთხოვა, ნება მიბოძეთ მთელ ხორვატიაში სამხედრო წესები დავაწესოო.

◆ ვენის რეიხსრატში კიდევ ჩამოაგდეს ლაპარაკი ხორვატიის საქმეზე. დეპუტატები მთავრობას შეეკითხნენ: დალმატიის დეპუტატები იმპერატორმა რატომ არ მიიღოო; ამას გარდა, როცა სლავიანმა სტუდენტებმა ვენაში მყოფ ხორვატიის მთავარ-მართებლის წინაამდეგ დემონსტრაცია მოახდინეს, პოლიცია ძლიერ სასტიკად რად მოიქცაო. დალმატიის დეპუტატმა ბიანკინიმ უსაყვედურა ავსტრიის მთავრობას: ყოვლად ძლიერ ჰუნგრებს ლამის ყურმოჭრილ ყმად გაუხდით, იმათ შიშით ხმა ვერ ამოგიღიათ და ხალხის წარმომადგენლებს იმპერატორის ნახვის ნებას არ აძლევთ. ხორვატიის ხალხისათვის,

რომელმაც თავისი სახელი საკუთარის სისხლით ავსტრიის ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლებში ჩასწერა, მეფე აღარ არსებობსო.

პირველმა მინისტრმა კერბერმა მეტად მკაცრად უპასუხა დეპუტატებს. კერბერმა სთქვა: დალმატებმა ცრუ და ტენდენციოზური აგიტაცია გამართეს. მას აქეთ, რაც არეულობა დაიწყო, მარტო ორი კაცი მოჰკლეს ჟანდარმებმაო. (სამხრელი სლავიანები და ჩეხები აშფოთებულნი უყვირიან მინისტრს). იმპერატორმა კონსტიტუციის თანახმად არ მიიღო დალმატები. ავსტრიას თავისი დარდიც ეყოფა. ძლიერ კარგად მესმის ეროვნულ გრძნობის ძალა, მაგრამ რეიხსრატმა მაინც წესიერება უნდა დაიცვას და ისეთი რამ არ მოსთხოვოს მთავრობას, რისაც ასრულება არ შეუძლიან. რა საჭირო იყო არეულობის ამბების გამოცხადება; ეს ცნობები მარტო სახელს უტეხენ იმპერიას. ძლიერ კარგად მოიქცნენ ტელეგრაფის მოხელენი, რომ ხორვატიის არეულობაზე დეპეშებს არ იღებდნენ. ჯარი მეტად დინჯად და თავდაჭერილად იქცევა, არაფერი უდიერობა არ ჩაუდენია. ხორვატიაში სამხედრო წესების ძალით არავინ დაუსჯიათ, ჯარს ერთიც არავინ მოუკლავს, მხოლოდ ორი კაცი დასჭრეს. ცნობები, ვითომ ავსტრიის ზოგიერთ პროვინციაშიაც არეულობა იყოს, მეტად გაზვიადებულია. ძლიერ ვსწუხვარ, რომ ლიუბლინშიაც უწესოება მოხდა. მაგრამ საქმეს გამოვიძიებთ და დამნაშავეთ ღირსეულად დავსჯითო.

გერმანელებმა ძლიერ მოიწონეს კერბერის სიტყვა და, როცა მინისტრმა სიტყვა გაათავა, დიდი ტაშის ცემა ასტეხეს. სლავიანებმა კი საშინელის ყვირილით პროტესტი გამოუცხადეს. დალმატები უყვიროდნენ კერბერს: „ოფიციალური დეპეშა ხართ! სულმა აგიკრძალათ, აუდიენცია არა სთხოვო იმპერატორს დალმატებისათვისაო! შერცხვენილო! თავხედო! დაიღუპოს კერბერი!“

ახალი ამბავი

◆ შემოდგომაზე სრულიად დაამთავრებენ **სახალხო სახლს**, რომელსაც აშენებენ კ. კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეთა მიერ შეწირულ ფულით. ბ-ნთ ზუბალაშვილებს განუზრახავთ სახლი დახურონ „შენებახის“ სისტემით. ასეთ სახურავს ცეცხლი ვერაფერს აკლებს. ჰფიქრობენ, შიგნითაც იხმარონ ამ სისტემის მასალა. ზუბალაშვილნი 10 ათას მანეთად მოურიგდნენ საფრანგეთის ერთ ფირმას, რომელმაც მუშაობა ამ ზაფხულსვე უნდა გაათაოს. ამ დღეებში ხელოსანნი უნდა მოვიდნენ პარიზიდან. როგორც ვთქვით, შენობა შემოდგომისთვის იქმნება მზად, მაგრამ წარმოდგენებისა და კითხვების მართვას გაზაფხულამდე ვერ შეუდგებიან. დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც თეატრისა, ისე აუდიტორიის მოწყობას. თეატრის დარბაზი 600 კაცისათვის არის ნავარაუდევი, ხოლო აუდიტორია—200 კაცისათვის.

◆ როგორც გუშინ ვსწერდით, უკვე შეადგინეს **ამიერ-კავკასიის საერობო გადასახადის ხარჯთ**-აღრიცხვის პროექტი. პროექტით ამ გადასახადისას მოელიან **11,932,905** მანეთს. აქედან მომავალ სამ წელს (**1904-1906**) საერობო დარაჯს უნდა მოხმარდეს **2,835,962** მან. კერძოდ **1904** წელს—**1,417,956** მ., **1905** წ.—**945,304** მან., **1906** წ.— **172,622** მ. მთავრობის დაწესებულებებს მოხმარდება **3,818,790** მ., საპყრობილოების გამართვასა და შენახვას—**307,938** მ., საგზაო საქმე—**4,946,638** მ., სახალხო განათლებას—**185,652** მ., სამკურნალო საქმეს—**1,618,881** მ., საბეითალო საქმეს—**111,315** მ. და სხვა. ზემოხსენებული თანხა ხარჯებს ვერ აუვა, ამიტომ განზრახულია, როგორც გუშინ ვწერდით, საგზაო საქმისთვის ახალი გადასახადების შემოღება.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ საერობო თანხიდან **165 ათასი მანეთი გადასდო გორში მტკვარზე ახალ ხიდის ასაგებად.** ჰფიქრობენ მკვიდრის ხიდის აგებას.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს სურამში **სანატორიის გამართვა.** სანატორიაში დააწვენენ მალარიითა, ქარიებითა და გულით ავადმყოფებს. სანატორიაში 200 კაცის ადგილი იქმნება. როგორც ამბობენ, სანატორიას ამ დღეებში გახსნიან.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოუწონებია პროექტი **ერევანში საბაღოსნო სკოლის დაარსების** შესახებ. პროექტი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადაეცა.

◆ ერევნის გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია. ამ კომისიამ დახმარება უნდა გაუწიოს იმ **ადგილობრივ მეურნეთ**, რომელნიც ექსპონატებს გაჰგზავნიან გაგრის გამოფენაზე. გაგრაში მცენარეულობის გამოფენა, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გაიმართება შემოდგომაზე.

◆ სამხედრო შტაბის მოხელეს, ტოპოგრაფს ბოგდანოვს შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე. თხოულობს, კონცესია მიეცეს, რომ მტკვარზე მუშტაიდის ზემოდ, ქუთაისის ქუჩასთან, **რკინის ხიდი** ამხანაგობა დააარსოს, მაგრამ განცხადებაში [illegible] არაფერს პირობათა შესახებ. გადასახადი ისეთივე იქმნებაო, როგორც ვერის ხიდზეა. გუბერნატორის განკარგულებით, საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ ქალაქის გამგეობას აცნობა ამ შუამდგომლობის შესახებ და დაავალა, პასუხი უსათუოდ პირველ ივნისამდე გაუგზავნოს.

◆ 20 მაისს კრება ჰქონდა ტფ. პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა დააწესოს პირუტყვთა სამკურნალოში ბეითლების მორიგეობა. ამასთან ბეითლებს მიეცემათ შემოსავლის 40%. ლაპარაკი ჩამოვარდა ტრამვაის ცხენებზე. ბევრმა განაცხადა, რომ ეს ცხენები დიდ წვალებაში არიან, ვაგონში 28 კაცის ადგილია, მაგრამ ხშირად 45 კაცს უშვებენო. კრებამ დაადგინა სთხოვოს გამგეობას, ეს საქმე გააწესრიგოს.

◆ **დღეს, 22 მაისს, მამა დავითობაა.** მამა დავითის ეკლესიაში მწირველი იქმნება საქართველოს ეგზარხოსი.

◆ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ **საზოგადოების**“ წევრთა წლიური კრება მოხდება კვირას, პირველ ივნისს. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში, სავარაუდო აღრიცხვა და სხვა.

◆ 19 მაისს **ტფილისიდან სიღნაღში წავიდა** ოლქის სასამართლოს სესსია. სიღნაღიდან სესსია თელავში წავა და 28 მაისს ტფილისს დაბრუნდება.

◆ როგორც ქალაქის გამგეობას შეუტყვია, მამუკას სოფლის ბევრ მცხოვრებს **მიუსაკუთრებია ქალაქის მიწა.** გუშინ გამგეობამ დაავალა ქალაქის მიწის მზომელს, გასინჯოს მისაკუთრებული ადგილები, აიღოს გეგმა და წარუდგინოს განსახილველად.

◆ ხვალ, 23 მაისს, **წლიური კრება** ექმნება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. კრება მოხდება საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე. უნდა განიხილონ ანგარიშები საზოგადოებისა და საბაღოსნო სკოლისა. შემდეგ მოხდება საბჭოს ერთის წევრის არჩევანი.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ თავად აზნაურთა მორიგმა კრებამ დააწესა **გუბერნიის მარშალთან მდივნის თანამდებობა.** როგორც „ნოვ. ობ“. გადმოგვცემს, ამ თანამდებობაზე დაუნიშნიათ ნაფიც ვექილის თანაშემწე ა. ი. ყანჩელი.

◆ **მიწის ძვრა** ბათუმს გარდა არდაგანის ოლქშიაც ყოფილა. იქ ისე იძრა თურმე მიწა, რომ ბევრგან შენობები დაქცეულა.

◆ მივიღეთ ანგარიში **მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენებისა** და თავშესაფარის საზოგადოებისა. ცნობებს ხვალ დავბეჭდავთ.

◆ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნაკი** „ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, ექიმის საუბარი გულის ხმიერ მკითხველთან“, ექიმის ვახტანგ ღამბაშიძისა. წიგნაკი ღირს ერთ შაურად.

◆ წელს ტფილისიდან **ჯარში ამოსადებად** გაწვეულია 643 კაცი.

◆ **ბარისახოდან გვწერენ:** პირ-აქეთ ხევსურეთის ოთხ საზოგადოებამ—როშკისა, [illegible] სოფელ ბარისახოში ააგო სოფლის სამმართველო და ამ ცოტას ხანში რკინითაც უპირებს დახურვას. ეს სამმართველო დანიშნულია 1000-ზე მეტ კომლისთვის, რომელთაც შენობა 100 თუმნამდის დაუჯდათ.

◆ ვაჭართა საზოგადოებას აზრად აქვს ფული გადასდოს კომერციის სასწავლებლის სადგომის შესაკეთებლად. ამ საგანს ვაჭართა საზოგადოების კრება განიხილავს 1 ივნისს.

◆ 21 მაისს გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა და სანიტარო მკურნალმა, ადმინისტრაციის განკარგულებით, დაათვალიერეს სურფ-კარაპეტის აღმართი და აღმოჩნდა, რომ იგი არა სანიტარულ მდგომარეობაში.

◆ აგურ-ხანის ქუჩის მცხოვრებმა ისიდორე ჭანტურიამ განცხადება წარუდგინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას. სწერს, ჩვენი ქუჩა მეტად ცუდს მდგომარეობაშიაო. ამ ქუჩაში ფარანიც-კი არა ყოფილა.

◆ ყაზახიდან გვატყობინებენ: ყაზახის ნაწილში (განჯის გუბერნიაა), რკინის გზის ლიანდაგთან ნახეს გვამი თათრის [illegible]-მუსა-ოღლისა. პირველად ეგონათ, რომ ამ თათარს თავი მოუკლავს, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იგი სხვასაგან მოკლული ყოფილა. გვამს რამდენიმე ჭრილობა ეტყობა. ამბობენ, ამ მკვლელობაში წილი უდევს ცოლს, ქმარს და ახალ გაზრდილ ქალს. ცოლ-ქმარნი ვერ იყვნენ თურმე ერთმანეთში კარგად. გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, სოფიის ვიწრო ქუჩა ამ რამდენისამე ხნის წინად ხოფერის ყაზახთა ბატალიონის უფროსს შეუკავებია, რის გამო მცხოვრებნი გაჭირვებაში ჩავარდნილან. მცხოვრებთ გუბერნატორისათვის უთხოვნიათ დახმარება. გუშინ გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობები ამ ქუჩის შეკავების შესახებ.

◆ განჯიდან გვატყობინებენ: კურონობში, ჭაში იპოვნეს გვამი ერთის თათრისა, გვარად მაჰმედბაჰრამ-ოღლისა. გვამს ჭრილობები ეტყობოდა. როგორცა სჩანს, მოუკლავთ და ჭაში ჩაუგდიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგში 16 მაისიდან დიდის ამბით შეუდგნენ საიუბილეო დღესასწაულის გადახდას. ქალაქი ამ დღისთვის ბაირაღებითა, კამარებითა და ყვავილთა ხვეულებით შეამკეს. დილიდან საღამომდე განუწყვეტელი ნადიმები, სადილები და ვახშმებია. ამბობენ სიტყვებს როგორც პეტერბურგისა, ისე რუსეთისა და ევროპის ქალაქის წარმომადგენელნი. პეტერბურგის თვით-მმართველობასა და წარმომადგენელთ უნდათ გააკვირვონ არა მარტო რუსნი, ევროპიელნიც კი, ამიტომ დიდი გულუხვობა და სტუმართმასპინძლობაა. ამბობენ, ეს მასპინძლობა პეტერბურგს ნახევარ მილიონ მანეთად მაინც დაუჯდება. დღესასწაულები, როგორც ვუწყით, 16 მაისს დაიწყო. ამ დღეს მთელ ქალაქში რესტორანებსა, ტრაქტირებსა და სხვა ამ გვარ დაწესებულებებს სასტიკად აუკრძალეს ნაშუადღევის ორ საათამდე მაგარ სასმელების გაყიდვა. დღისით ქალაქში ცოტა ხალხი ყოფილა. მუშები არსად არ დაითხოვეს. ყველა დაწესებულებაში—ქარხნებსა, ფაბრიკებსა და სახელოსნოებში მუშაობა იყო მთელ დღეს.

გაზეთები საინტერესო სტატისტიკო ცნობებს გადმოგვცემენ პეტერბურგის შესახებ. ორასის წლის წინად გაშენებულ პეტერბურგში ეხლა ყოველ წელიწადს სადღება 200,000 მსხვილი ფეხა საქონელი, 100,000 ხბო, 50,000 ღორი, 20,000 გოჭი და 20,000 ცხვარი. დაკლულ საქონლის ხორცი შეაქვთ წელიწადში 3 მილიონი ფუთი, პური—120 მილიონი ფუთი, ვაშლი—2500 ვაგონი, ხილი—400 ვაგონი, ყურძენი—500,000 გირვანქა და სხვა.

◆ აზრადა აქვთ გააერთიანონ რუსეთისა და ფინლიანდიის რკინის გზები.

◆ ერთ ხერსონელ ქალს, დ. ი. პესკერს პარიზის უნივერსიტეტში გაუთავებია სწავლა მედიციის დოქტორის ხარისხით. ამ ქალმა ეგზამენი დაიჭირა ხარკოვის უნივერსიტეტში. ეხლა ამ ქალს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს ეგზამენი დაიჭიროს რუსეთში მედიცინის დოქტორის ხარისხის მისაღებად.

ფელეტონი

გახუნებულ აზნაურის წერილები

X

ქალაქიდან სოფელში წასვლა რომ დავაპირე, ყველა ჩემი, ჩერქეზულ ტანისამოსიანი, „ვენგერკიანი“ და „ტუჟურკიანი“ ძმისწულები და დისწულები ჩემს ნომერში შევკრიბე. მე ვიცი, დიდი ძებნა დამიჯდებოდა! მთელი დღე საოცარის ბეჯითობით და კეთილ-სინიდისიერობით ბულვარის ტროტუარს ჰტკეპნიან! ყველანი შევკრიბე და წყნარის სიტყვით მივმართე. დაახლოვებით ეს უთხარი:

ჩემო საყვარელო ძმისწულებო და დისწულებო, დიდებულო წინაპართა დიდებულო ჩამომავალნო! ხვალ ორის საათის მატარებლით ამ შფოთიან, ხმაურ, მტვრიან და ოხერ ქალაქიდან ქართლში მივდივარ, რომ ისევ ჩემ ძველ მინგრეულ-მოხრეულ, მაგრამ საყვარლად საგონებელ ბუდეში მოვიკალათო. რაც უნდა სირინოზის ხმაზე გვიმღეროს ქალაქმა და რაც უნდა კულტურის სიკეთე გადაგვიშალოს თვალ-წინ, მაინც ჩვენთვის ყოველთვის უფრო ძვირფასი იქნება სოფლის უბრალო, მაგრამ უფრო გულ-გაშლილ ცხოვრების ლამაზი, ჩვეულებრივი სურათები.

ამ ქალაქის ცხოვრებაში უბრალოება, გრძნობის გულ-წრფელობა ძლიერ ცოტაა, მანქვა-გრეხა და სიცრუე კი ბევრია. არ იცი, რა მხრიდან მოუარო აქაურ კაცსა, რომ ერთბაშად გაიგო, გულებში რა უძევს, რას ჰფიქრობენ და რას აპირობენ. ხშირად [illegible] ხარ [illegible] კაცთან, როგორც უცნაურის კლიტით დაკეტილ ყუთთან, და ყველა მხრიდან უცაცუნებ ხელსა, რომ როგორმე გაიგო, რანაირად იღება იმ კაცის გულის კარი. ჰგრძნობ, მთელის საათობით ჰწვალობ და გაგულისებული ჰშორდები. იმან კი, თურმე, ამ დროს მთლად ჩაიგო შენი აზრი და კარგა, მეტი სახელიც მოგიკრა და სამუდამოთ ანდერძიც გვიგო!

იცით რა არის, რიგიანი, მადლიანი ჰამაც კი არ იციან თქვენ ქალაქში! ორი-სამი თვე ისე ხარბად და მამაცად ვიქცევდით თავს ყოველნაირი საზოგადოებრივ საქმებითა და აზრებით, რომ ჩვენებურად კუჭის გაძღომა ერთხელ ვეღარ მოვახერხე.

ღმერთმა დასწყევლოს ყველა საქმეები და აზრები! ყოველ საქმის ბაირაღზე ცხადად სჩანს ლამაზად დახატული და მშვენივრად გამომცხვარი გემრიელი საზოგადოებრივი ქადა. გახსოვთ, ყმაწვილებო, ჩვენს კრებაზე რა გულ-მკვდრად ლაპარაკობდნენ უმაღლეს სასწავლებელზე და მერე კი, როცა ჯერი კენჭის ყრაზე მიდგა, ყველანი როგორ გაცოცხლდნენ და დაფაცურდნენ.

რაღა დაგიმალოთ... ეხლა მე თითონაც გავცოცხლდი... ქალაქის [illegible], მაგრამ მშიერ ცხოვრების შემდეგ, ჩემი თავი მევე სოფლის სავსე და მაძღარ ჭამის კანდიდატად დავინიშნე, ჩემს თავს მე თითონვე ჩავუყარე დიდძალი თეთრი კენჭი და ეხლა ჩემის სამსახურის ადგილს მივდივარ და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ამ საქმეს პატიოსნად და ერთგულად ვემსახურო. იქ [illegible] კუთხე და [illegible] იმ თეორეტიულ ცოდნას გამოვიყენებ სოფლის ცხოვრებაში, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ქალაქში შევიძინე. გირჩევთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, ჩემს მაგალითს მიჰყვეთ, თქვენი სასტუმროები, ბულვარი, ქაღალდის თამაშობისა და სიყვარულის ამშვენები მიატოვოთ, თქვენ ყოვლად საცოდავ და უბედურ ცხოვრებაზე ხელი აიღოთ და თქვენი თავი ძირიან-ფესვიანად ამოჰგლიჯოთ თქვენის ბულვრის სალაყბოს ქვიან ნიადაგიდან და ისევ თქვენს სამშობლო და საყვარელ მამულის ნიადაგზე გადარგოთ.

აი, სულ ორიოდე დღის წინ ერთი თქვენგანი ყველას თვალ-წინ ჩიტივით მოჰკლეს იმის გულისათვის, რომ საკმაო პატივისცემით და მოწიწებით არ მოექცა რაღაც ღირსებასა... იქნება, ყმაწვილებო, თქვენც რომელისამე პროფესიონალურ ღირსების დაცველთა აზრით გაწყვეტის ღირსი აღმოჩნდეთ და იქნება ყველანი რიგიანად მოწყობილ ქალაქში დღისით-მზისით ცოფიან ძაღლებივით გაგჟლიტონ? ყმაწვილებო, მართლა და საშიშია თქვენი სიცოცხლე. შეიძლება შემთხვევით, სულ უნებურად ქუჩაში კაცს ხელი წაჰკრათ... მაშინ ნადირის ადგილას ჩაგაგდებენ და... თავის დასაცველად ხელის გამოღების ნებაც არა გექნება...

ბატონებო, ყველას მშვენივრად გესმის, რა არის ღირსება, მაგრამ ერთის რომელისამე პროფესიის, ერთის რომელისამე ჯგუფის ღირსება

გაზეთების სიტყვით, ეს შუამდგომლობა უმაღლესად შეწყნარებულ იქმნა. დღემდე რუსეთში არც ერთ ქალს მედიცინის დოქტორის ხარისხი არ მიუღია, ასე რომ ქ-ნი პესკერი, თუ ეგზამენი ნაყოფიერად დაიჭირა, პირველი იქმნება.

◆ როგორც ფრანგული გაზეთი „მატენ“-ი გადმოგვცემს, ამ დღეებში დუბლინიდან კიშინევში წამოსულა „ნიუ-იორკ ჟურნალის“ წარმომადგენელი, ინგლისის პარლამენტის დეპუტატად ნამყოფი მაიკელ დევიტი. დევიტმა კიშინევში დაზარალებულ ებრაელებს უნდა დაურიგოს ნიუ-იორკში შეკრებილი ფული—ერთი მილიონი ფრანკი.

◆ რკინის გზების გამგეობებს დაეგზავნათ გზათა მინისტრის ცირკულიარი სადგურის მოსამსახურეთა მუშაობის დროს შემცირების შესახებ. იმ სადგურებზე, სადაც დიდი მოძრაობაა, მუშაობა 8 საათი უნდა იყოს, სადაც ცოტა—12 საათი.

ქართული ენის საჭიროება

(მ. ა. ქიქოძის სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე 13 მაისს*)

რა მოგველის ჩვენ, ქართველებს, თუ დავკარგეთ დედა-ენა, ის ენა, რომელსაც ასი მოდგმა გამოუცვლია? აი, ბატონებო, თუ ნებას მომცემთ, ამის შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ.

მესამე საუკუნეში ქრისტეს მოსვლამდე, როგორც ისტორია ამბობს, გამოიგონეს ქართული ანბანი. აშკარაა, ამის შემდეგ, რომ ქართული ენა უფრო შორეულს, ჰაღარა წარსულში, ე. ი. სამ საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე მაშინდელს საქართველოში საყოველთაო და კულტურული ენა იყო, რადგან ყველამ იცის, რომ ანბანის გამოგონებას მხოლოდ შემუშავებული და განვითარებული ენა იწვევს. საზოგადოსა და ასე თუ ისე კულტურულ ენის შექმნას კი წინ უძღვის ჯერ სხვა-და-სხვა გამოთქმანი, შემდეგ კილოები. ამ კილოების ურთი-ერთ შორის ბრძოლის დროს ერთი იმარჯვებს და ხდება მთელის ტერიტორიის მცხოვრებთა გრძნობებისა და აზრთა გამომხატველ ენად.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ჩვენ ნება გვაქვს ვსთქვათ, რომ ჩვენი ენა კულტურული და გავრცელებული იყო უწინდელ საქართველოს გარედაც. ამას ამტკიცებს ის გარდმოცემა, რომ წმიდა ნინომ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება საქართველოში ჩამოსვლისათანავე დაიწყო, და, უთუოდ, ქართული ენაც ეცოდინებოდა. მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქართველებმა მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება და ამ დროიდან ქართულად სადვთო წერილის თარგმნაც იწყება. ვინც ქრისტეს სარწმუნოებას იცნობს, უთუოდ მიხვდება, რამდენად მდიდარი უნდა ყოფილიყო ქართული ენა, რომ გამოეხატა ის დიდებული და განყენებული იდეები, რაც ქრისტეს მოძღვრებაშია. ამ შორეულ წარსულიდან დაწყებული ძველ საქართველოს უმთავრესს საგნებს ის შეადგენდა, რომ დაეცვა და შეენახა ეს ენა და მასთან ერთად მტკიცედ შეკავშირებული ქრისტეს მოძღვრება. ამიტომ ქართველ ერს, რომელსაც ეკუთვნიან მეგრელები და სვანები, არ შეუძლიან ცალკ-ცალკე წარმოიდგინოს ქრისტეს მოძღვრება და ქართული ენა. ეს ორი ცნება იმის გონებაში სინონიმებია. თუ ჩვენ სამშობლოს ყოველ გოჯს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ჩვენ მამა-პაპათა გაქვავებული სისხლ-ხორცი; თუ ძველ საქართველოს მთელი წარსული ცხოვრება იმის დიდის ხნის გარდაცვლილ შვილთა ყველასათვის განსაცვიფრებელ მორტიროლოგიას შეადგენს; თუ ესენი ასე უხვად და თავგანწირვით მღვრიდნენ სისხლს სამშობლოსათვის, და თუ, დასასრულ, დედები ზრდიდნენ შვილებს, როგორც სამსხვერპლოზე შესაწირავ ზვარაკთ,—ამ სამსხვერპლოდ ითვლებოდა და ეხლაც ითვლება ჩვენის ხალხის შეხედულობით იმისი დედა-ენა და მასთან შეურყევლად შეკავშირებული ქრისტეს მოძღვრება.

ხალხის ეს ორი სულიერი საუნჯე რომ ხელ-უხლებლად დაეცვათ, ჩვენმა მეფეებმა და მთავრებმა გადასწყვიტეს, ჩაებარებინათ საქართველო ერთ-მორწმუნე მეფისთვის და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ ახალი გვირგვინოსანნი დაიცავდნენ ამ ხალხის ძვირფას განძს. ამნაირისავე მაღალ და ჰუმანიურ სურვილებით აღფრთოვანებული იყო ისიც, ვინც ამ დედა-ენისა და სარწმუნოებისათვის მრავალ-ტანჯული ერი სამუდამოდ მიიღო თავისს მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ. ამნაირისავე წმინდა მზრუნველობით ხელმძღვანელობდნენ ისინი, რომელნიც უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენის კათედრას აარსებდნენ.

ისტორიულსა და სარწმუნოებრივ მნიშვნელობას გარდა ენას აქვს სხვა, არა ნაკლებ, დიდი მნიშვნელობა ხალხის კეთილდღეობაში. როგორც შედეგი არა მარტო სოციალურის, არამედ გარშემო მდებარე უსულო არსებათა ზეგავლენისა, იმ არსებათა, რომელთა შორის ადამიანი იბადება და იზრდება,—ენა არის განხორციელება სულიერ და უსულო ბუნების ამ დაუბოლოვებელ სხვა-და-სხვა გვარ მოვლენათა. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ ოდესღაც ერთ ენისგან მრავალი სხვა-და-სხვა ენა წარმოსდგა.

„ენაში გამოიხატება ხალხის სული და გულიო“, ამბობს რუსის ერთი ფილოსოფოსი და სახელმწიფოს მცოდნე პირი; „სიტყვა ბროლად ქცეული აზრიაო“, ამბობს მეორე ჭკვიანი კაცი, „და მისი სხვა სიტყვით შეცვლა იგივე იქმნება, რაც აზრის თვით გულშივე ჩაკვლა“. აზრის სხვა-და-სხვაობას კი დასასრული არა აქვს ფორმით, კონსტრუქციით, სიძლიერითა და სიმდიდრით, გარშემო მდებარე სულიერ და უსულო არსებათა სხვა-და-სხვაობის მიხედვით, სადაც იგი იბადება და იზრდება. ამიტომ სავნებლად ენის ხელის შეხება არამც თუ ისტორიულ წარსულის უარყოფაა და თავის წარსულისადმი სიყვარულის გრძნობის შებღალვა, არამედ ბუნების წინააღმდეგი ლტოლვილებაცაა.

ძნელია და, მგონი, საჭიროც არ უნდა იყოს იმ ბოროტების ყველა შედეგის ჩამოთვლა, რაც აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ამ ბოლო დროს გაძლიერებული ლტოლვილება, რომ გასაგები და ვარგისი გაუგებრითა და უვარგისით შეიცვალოს. საზოგადოდ კი ეს შედეგები ამგვარია: სარწმუნოების მხრივ—ეკკლესიებიდან გასაგების დედა-ენის განდევნა და იმის ნაცვლად სრულიად გაუგებარის ან ნაკლებ გასაგების ენის შემოტანა გამოიწვევს არამც თუ შერყევას, არამედ სარწმუნოების სრულს დამხობას, განსაკუთრებით იმ წრეში, რომლის გონებრივი და ზნეობრივი ფიზიონომია მხოლოდ სარწმუნოებაში გამოიხატება და განისაზღვრება. სული წმიდა ტყუილად კი არ გადმოსულა ღვთის სიტყვის მქადაგებლებზე, ტყუილად კი არ უსწავლებია მათთვის ლაპარაკი ყველა განვითარებულს ენაზე,—რომლითაც შეიძლებოდა ქრისტიანულ განყენებულ იდეების შეთვისება,—რომ ამ მოძღვრების ნამდვილი გამავრცელებელნი ყოფილიყვნენ. სულის წმიდის ამ გამოცხადებაში ნაჩვენებია ერთად-ერთი სწორი გზა არამც თუ ღვთის სიტყვის გასავრცელებლად, არამედ ხალხს შორის იმის განსამტკიცებლად. ამიტომაც ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ სწორე გზიდან გადახვევამ სარწმუნოებრივ განათლების დასუსტებას ხელი არ შეუწყოს. იძულებული ვარ, უნებურადა ვსთქვა: არა სულიერ ფარისევლურად წოდებულ თავის ძმების კეთილ-დღეობაზე იღვწიან ისინი, რომელთაც შეაქვთ განხეთქილება ჩვენს სარწმუნოებრივს სამეფოში, არამედ სულ სხვაზედ, რაც მათს დანიშნულებას არ შეეფერება.

აქ ნათქვამი სრულიად შეესაბამება ლტოლვილებას, რომ, რაც უნდა იყოს, საზოგადო სამშობლო ენა შეცვლილ იქმნას სრულიად განუვითარებელ კილოებით, როგორიცაა მეგრული და სვანური კილოები. ამ კილოებს, რომელნიც სულ ცოტათი განსხვავდებიან საზოგადო სამშობლო ენისაგან, მთელ თავის არსებობის დროს გულში ფიქრადაც არ გაუვლიათ თვითგანვითარება, თვითგაუმჯობესება და საკუთარ, დამოუკიდებელ ენად გახდომა. ამას ნათლად, შეურყევლად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ კილოებზედ არავითარი მწერლობა არ არსებობს; რაიმე ლიტერატურის არსებობის შესახებ ხომ ლაპარაკიც არაა საჭირო. მალოროსიულ კილოს საკვირველი სიცოცხლე აქვს, რასაც ამტკიცებს იმისი მდიდარი ლიტერატურა; სცდილობს დამოუკიდებელ ენად გახდეს, და ეს აუცილებლად ასეც მოხდება, გვეუბნებიან ბევრნი. ველიკოროსიული კილო ხომ დიდი ხანია უმდიდრეს, დამოუკიდებელ და განვითარებულ ენად გახდა. მიუხედავად ამისა, აქამდის არავის არ მოსვლია აზრად, რომ საზოგადო სლავიანურ ენის ნაცვლად მალოროსიის ეკლესიებში მალოროსიული კილო შემოიღონ, ხოლო ველიკოროსიაში-კი ველიკოროსიული. ამავე დროს ჩვენს სარწმუნოებრივ გრძნობებს აწვალებენ ისინი, რომელთაც უმაღლეს მთავრობისაგან დავალებული აქვთ ჩვენში სარწმუნოებრივის მშვიდობიანობისა და მყუდროების დაწესება. გარდა ამისა შეუძლებელია მრავალ საუკუნის განმავლობაში არსებულ სრულიად განვითარებულ და მდიდარ ენების ძალდატანებით მოსპობა.

ადგილობრივ მცხოვრებთა კულტურული განვითარება მთავრობისა და საზოგადოების ერთი უმთავრესი საქმეა, მაგრამ არსად წინასწარ განზრახულ აზრს არ შეუძლიან ისეთი ვნების მოტანა, როგორც ამ საქმის განხორციელების დროს, განსაკუთრებით სახალხო განათლების სფეროში. სახალხო სკოლების მოთხოვნილებათა minimum-ი ყველამ იცის ესაა: ბავშვებმა შეისწავლონ შეგნებულად წერა და კითხვა იმდენად საფუძვლიანად, რომ შესძლონ წაკითხულის გაგება და შეგნებულად წერა, რომ სკოლიდან გამოსვლის შემდეგ შეეძლოთ განაგრძონ თვითგანვითარება. სამწუხაროდ, ეხლანდელ წეს-წყობილების დროს, საქმე სულ სხვანაირადაა დაყენებული: სასკოლო ხანა სოფლელ ბავშვებისთვის, რაღაც გაუგებარ მიზეზთა გამო, ძლიერ მოკლეა. ამ დროს განმავლობაში ბავშვებს შეუძლიათ შეითვისონ შეგნებული წერა-კითხვა და ცოტა ელემენტარული ცოდნა მხოლოდ იმ ენის საშუალებით, რომელიც იმათ კარგად ესმით და რომელიც განვითარებითა და შემუშავებით ჯერ გამოსადეგი საშუალებაა ამ ელემენტარულ ცოდნის შესათვისებლად და მერმე იმის გადასაცემად.

და აი, ამგვარი ენა ან სრულიად განდევნილია სკოლიდან, ან შეცვლილია მუნჯურ მეთოდით, რომელიც სრულიად ალაყებს ბავშვის ტვინს და ახლუნგებს იმის ნიჭს. თუ გვინდა ეს უბედურება არა ჰხდებოდეს, უსათუოდ საჭიროა ან შემოღებულ იქმნეს სკოლებში იგივე განვითარებული ენა, მარტო სახელით კი არა, როგორც ეხლა ზოგიერთ სკოლებშია, არამედ საქმით, როგორც სავალდებულო საგანი, ან და ჯერ საფუძვლიანად უნდა შეთვისებულ იქმნას სახელმწიფო ენა. ამ უკანასკნელისთვის კი საჭიროა ყოველს სოფელში თითო საშუალო სასწავლებელი დაარსდეს და თანაც სასწავლებლებში სასწავლო ხანა შესამჩნევად გადიდდეს, რომ მართლაც მოხერხდეს სახელმწიფო ენის შეთვისება. საქმის ეხლანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი ბავშვები ამ ენას ვერ შეიგნებენ. ის თუთიყუშისებურ გაზეპირებული, თანაც უმოწყალოდ დამახინჯებული რუსული სიტყვები და ფრაზები, რომლითაცა ჰსურთ მთავრობის შეცდომაში შეყვანა, ბავშვების გონებიდან ჰქრება სკოლიდან წასვლისათანავე. მაგრამ, ამ ოცნების განხორციელებაც რომ შესაძლებელი გახდეს, ახლო მომავალში მაინც დედა-ენის დაუხმარებლად სახელმწიფო ენის გონივრულად შეთვისება მოუხერხებელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიტყვების ღეჭვა, კონკრეტულ დ განყენებულ ცნებათა შეუგნებლად, აუარებელს დროს წაგვართმევს სრულიად უსარგებლოდ; მეორე—წარმოუდგენელია გაუგებარ სიტყვებში მოთავსებულ ცნებათა საკმაოდ ნათლად გადაცემა ბავშვებისათვის გასაგებ სიტყვების დაუხმარებლად; მესამე—გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ თავისებურად გაგებულ ბუნებრივ მეთოდს და განვითარებულ და გა-

---

*) უადგილობის გამო კრების ანგარიშის დაბეჭდვის დროს ეს სიტყვა ვერ მოვათავსეთ.

რედ.

კი არა, საზოგადოთ **ადამიანის ღირსება**. ღირსებას დიდად უნდა ვაფასებდეთ, პატივსა ვსცემდეთ, ჭუჭყისაგან დავიფაროთ და შეგინებისაგან დავიცვათ. შეუგინებელი, ლაქა მოუცხებელი **ადამიანის ღირსება** და სახელი ერთნაირად ბრილიანტივით ჰბრწყინავს ხოლმე წელში მოხრილ კალატოზის მკერდზე, თუ ვაჭარი კაცის სერთუკ ქვეშ, გახუნებულ აზნაურის ჩოხაზე, თუ აფიცრის ბრჭყვიალა მუნდირ ქვეშ. ყველას ერთნაირი უფლება აქვს ეს ღირსება დაიცვას, თუ კი ამ ღირსებას მართლა ნამდვილი რამ საფრთხე ემუქრის და არა ძალად მოგონილი და შეთხზული.

რაღა თქმა უნდა, გაზეთებში ყველანი წაიკითხავდით ჩვენის პატივცემულის მარშლის წერილს? მარშალი აღნიშნავს, ჩვენი სამი ახალგაზრდა აზნაური კეთილშობილურადა და თითქმის რაინდულად მოექცნენ ერთ პირსაო. ამ ახალგაზრდა კაცებმა ბანკში საჯარო ვაჭრობის დროს იმ კაცის მამული იყიდეს, მერე კი ისევ უკან დაუბრუნეს და ასეთ კეთილ საქმისათვის საზღაურიც არ მიიღესო. ამ წერილის წაკითხვამ გამახარა კიდეც, მაგრამ უფრო რომ დარდი ამიშალა. ვიფიქრე, ჩვენში ამნაირ ამბების გამოცხადება და ამნაირ საქმისათვის მადლობის გადახდაც **საჭირო** ყოფილა-მეთქი. იმ სამმა აზნაურმა განა ასეთი რა საქციელი ჩაიდინეს? განა **ყოველი პატიოსანი კაცი** მოვალე არაა, ამნაირადვე მოიქცეს? ნამეტანი სამწუხარო ამბავი არ იქნება, რომ ხვალ გაზეთებში, მაგალითად, ამნაირი წერილი დაიბეჭდოს:

გუშინ რკინის გზით გორიდან ტფილისში ჩამოველ. ჩემთან ვაგონში კიდევ რამდენიმე ჩვენებური აზნაური იჯდა. დაღალული ვიყავ და თითქმის მთელი გზა ტკბილად მეძინა. გაზეთების შემწეობით დიდს მადლობას ვუცხადებ იმ კაცებს, ჩემ გვერდით რომ ისხდნენ, რადგან ჩემის ძილით არ ისარგებლეს და არ გამძარცვეს.

არა ჩვენ გულწრფელად გვწამს, რომ ის სამი კეთილშობილი აზნაური, რომლებზედაც მარშალი სწერს, სულაც არ არიან გამოჩენილი და იშვიათი კაცები, კეთილშობილური, ნამდვილი რაინდული გრძნობა ჯერ არ გამქრალა ჩვენ ხალხში და ამ გრძნობისათვის, ამ ჩვენის ხასიათის თანდატანებულის თვისებისათვის, სულაც არაა საჭირო გარედან ხელოვნური მუჯლუგუნის წაკვრა, სულაც არაა საჭირო, ამნაირ ღირსების მქონე ხალხს, ყველას სათითაოდ, საგალობელი უგალობოთ. დარწმუნებული ვარ, ყმაწვილებო, ყოველი თქვენგანი, იმ სამის ახალგაზრდა კაცის ადგილას სწორედ იმნაირადვე მოიქცეოდა, ყოველი თქვენგანი კეთილ და კარგ საქციელისათვის საზღაურსა და ჯილდოს არ მოითხოვს. მართალს არ ვამბობ, ყმაწვილებო?

— დიახ, ბიძიავ, ცამდე მართალი ბრძანდებით. დიახაც, სამართლიანად გწამთ, რომ ჯერ კიდევ კეთილი გული გვაქვს და არც ისეთი ზნე-წამხდრები ვართ, არც ისე დავცემულვართ, რომ კარგის, კეთილის საქმის უნარი არა გვქონდეს,—ყველამ ერთბაშად მომაძახეს ჩემმა ახალგაზრდა ნათესავებმა და ჩემი მოხუცებული გული გაახარეს.

ეხლა კი, ჩემო სიკო,—მივუბრუნდი ერთ ჩემ დისწულს,—დედიშენის პასუხი უნდა შეგატყობინო. გახსოვს წერილი რომ მისწერე და ერთს თუმანსა სთხოვდი, იმის პასუხია. აი, რას იწერება დედა-შენი:

„ჩემო მალხაზ!

სიკოს თუმანი შემოუთვლია. უთხარ, გენაცვალე, მოურავს ჯერ არ მოუტანია-თქო, არც პენცია ამილია-თქო; როცა შემოვა რამე... მანამ გვაცალოს! არა, რომ მითვლის, სად ახლამს ეს თუმნები?! საიდან თხოულობს?! ავად თუ არის, რატომ არ მოდის? რას აკეთებს? არ იცის თავისი სახლის ამბავი?

მალხაზ, გენაცვალოს ჩემი თავი, სამი მანეთი გამომიგზავნე

შენი და მაკრინე“.

ამ ასლ ჩვენებურ წერილის წაკითხვაზე ყველას სიცილი აუტყდათ, თითონ სიკო კი სახტად დარჩა. როცა სიცილი შეაყენეს, ისევ სიკოს მივუბრუნდი.

— ეგრე, ჩემო საყვარელო სიკო, აკი გითხარ, აქედან დედისაგან ფულის თხოვნა სირცხვილია-მეთქი... შვილის მაგიერია?.. წამო, სიკო, ჩემთან და ჩვენ დედებსა, დებსა და ცოლებს დავეხმაროთ...

ეგ კია, ყმაწვილებო, ეგ უკუდო „ტუჟურკები“ კი უნდა გაიხადოთ, თორემ, ვაი თუ, თქვენმა ხიზნებმა ველარ გიცნონ და ღალა აღარ მოგცენ.

დ. მ.

საგებ ენის განდევნას მოსდევს ფრიად სამწუხარო შედეგი: სრული გაკოტრება გონებრივსა და ზნეობრივს ცხოვრებაში, აქედან წარმომდგარი მონობა და ყურმოჭრილი ყმობა იმათ წინაშე, რომელნიც ისეთს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულან, რომ ტვინის დაჩლუნგება და დასაჭურისება არ სჭირდებათ.

სერიოზული და ნაყოფიერი სწავლება შეიძლება მხოლოდ სამშობლო ენაზე: „ხალხის ენის ნაცვლად უცხო ენის შემოღება", ანუ—დავუმატებ ჩემის მხრივ—განუვითარებელ, არა ლიტერატურულ კილოს გაბატონება—„გადააქცევს ხალხს საჭურისად, რომელიც არსებობისათვის ბრძოლის დროს უსათუოდ უნდა იძლიოს და აღიგავოს პირისაგან ქვეყანისა".

ასეთია მომავლის სურათი.

ტფილისის გუბერნიის შეუძლო თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილების დამხმარებელ საზოგადოების კრება.

(დასასრული *)

დედათა კომიტეტს მომავალ დედათა სკოლისათვის ამ ჟამად აქვს 27087 მან. 44 კაპ. რადგან შარშან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ კომიტეტს აღნიშნულ სკოლისათვის 10,500 მან. აღუთქვა, კომიტეტს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა სამოსწავლო უწყების წინაშე, რომ ნება მიეცეს შეუდგეს დედათა სკოლის დაარსებას. თავის მოხსენებაში კომიტეტი ამბობს, რომ დღე-დღეზე მოველით შუამდგომლობის პასუხსაო. ბ-ნი სულხანიშვილი შეეკითხა თავმჯდომარეს, ეცნობებია კრებისათვის, რა ტიპის უნდა იყოს ეს სასწავლებელი, როგორი პროგრამაა შემუშავებული და სხვ. ბ-ნ ცხვედაძემ განმარტა, რომ წასულ კრებაზედ საზოგადოებამ დაავალა კომიტეტს, შეიმუშაოს ყველაფერი ამ სკოლის შესახებ და შეუდგეს დაარსების საქმეს. ჯერ-ჯერობით გამორკვეული არა გვაქვს, რა ტიპის უნდა იყოს დედათა სკოლა, მაგრამ გადაწყვეტილი კია, როგორც-კი ნება-რთვას მივიღებთ, დავაარსოთ ჯერ-ჯერობით ისეთი მოსამზადებელი კლასები, რომელიც პროგრამით ქალების გიმნაზიას უდგებოდეს. თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, გიმნაზიათ გადავაქცევთ ამ კლასებს, თუ არა—როგორც შემდეგ გარემოება გვიჩვენებს, ისე მოვიქცევით სკოლის ტიპის შემუშავების საქმეში.

კომიტეტს წელს შემოსავალი ექნება სკოლის პანსიონერებისაგან—16,800 მან. გარედან მოსიარულე 200 მოსწავლისაგან—2400 მან. გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან—78,184 მან. 19 კაპ. ხარჯი ექნება 99,780 მან. 32 კაპ. კრებამ შეუცვლელად მიიღო შემოსავალ-გასავლის ეს სავარაუდო აღრიცხვა იმ 4000 მან. გამოკლებით, რომელსაც თვით თავად-აზნაურობა იკისრებს დაუნიშნოს ღარიბ მოსწავლე ახალგაზრდობას უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

შემდეგ კრებამ განიხილა მოხსენება კომიტეტისა სკოლის ახალ შენობის შესახებ. დაახლოვებითი ცნობები შენობის შესახებ უკვე გვქონდა დაბეჭდილი. ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ, თავ. ვ. მაჩაბელმა, აღნიშნა რა ბ-ნთ სტეფანე და იაკობ კონსტანტინეს ძეთა ზუბალაშვილების მიერ უხვი შეწირულება, წინადადება მისცა კრებას, მადლობა გამოუცხადოს საზოგადოების სახელით უხვ ქველმოქმედთ, ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების საპატიო წევრებად და იმათი სურათი გიმნაზიის ახალ სადგომის ერთს დარბაზში იქმნას ჩამოკიდებული. კრებამ ტაშის ცემით მიიღო ეს წინადადება. თავ. მაჩაბელმა სთხოვა თავმჯდომარეს ეცნობებინა, კიდევ რამდენია საჭირო სკოლის შენობის დასამთავრებლად. ბ-ნმა ნ. ზ. ცხვედაძემ განაცხადა, რომ ჩვენის გამოანგარიშებით, 250,000 მანეთი რომ მოგვცა, დავამთავრებთ შენობასაო.

შემდეგ კრებამ მიიღო 34 ახალი წევრი.

თავ. ს. ვახვახიშვილი. ანგარიშის განხილვის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, ვინ ითვლებიან საზოგადოების წევრებად. წესდების ძალით, სამი მანეთი ვისაც შემოაქვს, წევრია. მას შემდეგ, რაც ცვლილება მოხდა ჩვენს ბანკში და თავად-აზნაურობამ იკისრა ბანკის ჯოგების ჩვენ საჭიროებაზე განაწილება, კრებაზედაც და საზოგადოებაშიაც გაისმის, რომ წესდების ის მუხლი, რომელიც წევრების მიღებას შეეხება, უკანონოაო. დღევანდლამდე არა გვაქვს გამორკვეული, როგორი წესი უნდა არსებობდეს წევრთა მიღებისა. გუბერნიის თავად-აზნაურობამ კრებაზე ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს საზოგადოება იგივ თავად-აზნაურობააო. საქმის საბოლოოდ და ყოველ მხრივ გამოსარკვევად თავად-აზნაურობამ 18 კაცისგან შემდგარი კომისია ამოარჩია. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ჩვენც ამოვარჩიოთ კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს კომიტეტთან ერთად ამ საგნის გამორკვევა და მოხსენების წარმოდგენა.

ა. კობიაშვილი მიემხრო თავ. ვახვახიშვილის აზრს, მხოლოდ მოითხოვა, რომ ამ საგნის საბოლოოდ გადაწყვეტა მიენდოს საზოგადოებისა და თავად-აზნაურთა მიერ ამორჩეულ კომისიების შეერთებულ სხდომას. ი. ს. ჯაბადარი და თავ. ვ. მიქელაძე დაეთანხმნენ მოსაზრებას კომისიის ამორჩევის შესახებ და საჭიროდ სცნეს, რომ კომისიამ მოხსენება წარუდგინოს საზოგადო კრებას.

კრებამ დაადგინა: კომისიამ სხვა მხრივაც გამოარკვიოს დამოკიდებულება ამ საზოგადოებისა და გუბერნიის თავად-აზნაურთა შორის და თავისი მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ წარუდგინოს კრებას. კომისიის წევრებად აარჩიეს: თავ. ს. ვახვახიშვილი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ი. კობიაშვილი, მ. ქ. ყიფიანი, ი. ს. ჯაბადარი, ნ. დ. ზუბალაშვილი ა. სავანელი, მიხ. გედევანიშვილი და ვ. თულაშვილი.

დასასრულ შეუდგნენ კომიტეტის თავმჯდომარისა, იმის ამხანაგისა და ორის წევრის არჩევას. კრებამ ერთხმად მიმართა და სთხოვა კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისას ეკისრა თავმჯდომარეობა. მაგრამ იმან სამჯერ უარი განაცხადა და სთქვა, რომ სხვები უფრო მეტს გააკეთებენ ჩემზეო. კრებამ მეოთხედ სთხოვა და ბოლოს დასთანხმდა. თავმჯდომარის ამხანაგად ერთხმად არჩეულ იქმნა ბ-ნი ი. დ. უთნელიშვილი. კენჭის უყრელად ერთ ხმადვე აარჩიეს კომიტეტის წევრებად თავ. ვ. გ. მაჩაბელი და ექიმი გ. გ. მღლალაშვილი.

კრება ღამის 12 საათზედ დასრულდა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი.

რიგა. 20 მაისს, დილის 8 საათზე, მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. სადგურზე დახვდნენ უმაღლესი მოხელენი, იყო ტაძარში, შემდეგ ლიფლიანდიის თავად-აზნაურთა მიერ გამართულ სადილზე მიწვეული. 2 საათზე დიდი მთავარი წავიდა კურტენგოფის ბანაკში.

ხარკოვი. დაწვრილებითი ცნობები 17 მაისს რკინის გზაზე მომხდარ უბედურებისა: ბორომლის და სმოროდინოს შუა ლიანდაგიდან გადავარდა საქონლის მატარებელი. დაიმსხვრა ცხრა ვაგონი. მოკვდა ერთი დედა-კაცი, დაშავდნენ კონდუქტორი, ჯარის-კაცი და გლეხის ქალი.

მინსკი. 20 მაისი. მინსკისა და ვიტებსკის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი შუამდგომლობენ, რომ მთავრობამ ბერეზინის არხი გააუმჯობესოს.

მოსკოვი. პიროგოვის სახელობის რუს-მკურნალთა საზოგადოების კომისიამ დაადგინა, პიროგოვის საზოგადოების გამგეობას სთხოვოთ, რომ მთელის რუსეთის მკურნალთა კრება მოახდინოს. კომისიამ სასურველად სცნა: უმთავრესი მუზეუმი, ბიურო და ბიბლიოთეკა დაარსდეს პიროგოვის სახლთან, საავადმყოფოებში ჩლექიანებისათვის განყოფილება გაიხსნას, მუშების დაზღვევა დაწესდეს, სადგომთა გაუმჯობესების თაობაზე კანონები გამოიცეს და სანატორიები დაარსდეს. განზრახვა აქვთ ფაკულტეტის კლინიკასთან ჩლექიანებისათვის განყოფილება დაარსონ, რომ სტუდენტებსა და ექიმებს ჩლექის გაუმჯობესებულ წამლობის შესწავლა შეეძლოთ.

ელისავეტგრადი. აქაური ქველმოქმედი საზოგადოება 37 დაწესებულებას ინახავს. ხარჯი 92,331 მან. აქვს; 16 დაწესებულებასაც ეხმარება, თანხა 822 ათასი მანეთი აქვს. საზოგადოების დაწესებულებაში 365 კაცი ინახება.

პარიზი. ალჟირიდან სწერენ გაზეთებს, რომ ზარბაზნებს დაუშენეს ფიგიგს, დამნაშავეთა შესაკავებლად, რომელნიც თავს დაესხნენ ალჟირის გენერალ-გუბერნატორს ჟონნარს. ჟონნარმა განაცხადა, რომ მაროკოს უფროსთ არ შეუძლიანთ საფრანგეთის წინააღმდეგ თავმოყრილ ბრბოთა დასჯა და საფრანგეთს უფლება აქვს მიიღოს ამის შესახებ ყოველი საშუალებანი.

პეტერბურგი. 20 მაისს ახალ ქარხანაში დაიწყეს კეთება ნაღმების საზიდავ ახალი გემის „ვოლგა"-სი.

ბალტიის ქარხანამ ჩაუშვა ზღვაში ახალი კრეისერი „ალმაზი".

მარიინსკის თეატრის მოედანზე საძირკველი ჩაუყარეს გლინკას ძეგლისა. დაესწრნენ და განსვენებულის გლინკასი ქალი, შესტაკოვისა და ნათესავნი. დამსწრეთა შორის იყვნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, ჰერცოგი გიორგი გიორგის ძე მეკლენბურგ-სტრელიცკი და მრავალნი წარჩინებულნი.

გუშინ წავიდნენ მოსკოვში საფრანგეთის დელეგატები.

მიტავა. კურლიანდიის გუბერნატორი ლიბავაში წავიდა, იქვე ხვალ დილით მივა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

21 მაისი

სოფია. თავადი წავიდა ებენტალში.

პარიზი. დეპუტატი ფორი ხუთშაბათს აპირობს შეეკითხოს მინისტრ-პრეზიდენტს იმ ზომების შესახებ, რომელიც მთავრობას ზრახვად აქვს მიიღოს სამხრეთ ორანის საზღვრების დასაცველად.

კონსტანტინეპოლი. ადრიანოპოლის ვილაიეტში, სოფელ კაზნას მახლობლად მოხდა მედგარი ბრძოლა სამ ბოლგარ და ერთ ოსმალთა რაზმთ შორის. ბოლგარელების მხრივ რვაა მოკლული, ოსმალთა მხრივ კი—ხუთი. ბოლგარელთა მეორე რაზმი დაეცა ოსმალებს კალკეიში და მოუკლა ხუთი ჯარის კაცი.—დუშელ და ხასელ ალბანელებმა დაიწყეს ხელახალი ომზადება რეფორმების წინააღმდეგ.

ატლანტა. გაინსვილს გუშინ გრიგალმა გადაუარა. ბევრი შენობები სრულიად დაანგრია. სამოცი კაცი მოკლა; 39 მძიმედ დასჭრილი.

საიდი. ამბავმა ჟონნარის თავდასხმის შესახებ დრმა შთაბეჭდილება მოახდინა ალჟირში. გენერალ-გუბერნატორს ყოველგან ხალხი ეგებება გულწრფელ სალამით. თავდასხმის დროს 56 მაროკელი მოკლულ იქმნა და ოცამდის დაჭრილი.

სუვალკი. მოვიდა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი სამოქალაქო დაწესებულებათა გასასინჯად და საღამოზედ გაემგზავრა ვარშავისკენ.

პიატიგორსკი. გაიხსნა სამკურნალო სეზონი ესენტუკში. აკურთხეს ახალი დიდი სახაზინო სასტუმრო. დამთავრებულია შენობები, რომლებიც ბოლო წლებში იყო დაწყებული.

ტომსკი. მოვიდა [illegible], დელეგატი უნგრეთის ვაჭრობის სამინისტროსი. დელეგატის ჩამოსვლის მიზანი—ციმბირის შესწავლა და სავაჭრო საქმეების დაჭერა ციმბირთან.

ბელგრადი. გუშინ საერთო კრების წარმომადგენლებზედ აარჩიეს სულ მთავრობის მომხრეები.

ნიკოლაევი. ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო უწყების წარმომადგენელთა თანდასწრებით წყალში ჩაუშვეს უზარმაზარი კრეისერი „კაგული".

საიდა. ჟონნარმა მიიღო ყადები, რომლებმაც ერთგულება გამოიჩინეს. ჟონნარმა უთხრა, რომ მაროკოელ ავაზაკთა ბრბოები ხელს ვერ შეუშლიან საფრანგეთს. მშვიდობიანად განაგრძობს განათლების გავრცელება. შემდეგ ის გაემგზავრა კრედერში, სადაც მკვიდრთა მოთავეებმა ერთგულება გამოუცხადეს.

ბრიუსელი. შემდეგი საერთაშორისო შაქრის კომისია შეიკრიბა 9 მაისს. რამდენიმე უცხოელი წარმომადგენელი დაესწრო.

სოფია. „დერჟავენ ვესტნიკ"-მა გამოაქვეყნა მთავრის მოწოდება ხალხისადმი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ მთავარი, საოჯახო საქმეების გამო, საზღვარ-გარედ მიემგზავრება და რეგენტად მინისტრთა საბჭოს ნიშნავს.—მთავრობის წრეებში დარწმუნებით ამბობენ, რომ ნაწვევიჩის მისია სასურველ ნაყოფს მოიტანსო, შეამბოხეების და ოსმალთა ჯარების შეტაკებებს კი დიდს მნიშვნელობას არ აძლევენ. იმედი აქვთ, რომ ევროპის სახელმწიფოები აღარ მოსტყუვდებიან ოსმალების ცარიელ დაპირებით, ვითომ რეფორმებს ახორციელებენ.—ბოლგარიის გაზეთების სიტყვით, კიდევ მომხდარა რამდენიმე შეტაკება და ბაშიბუზუკებს ახალი სიმხეცეები ჩაუდენიათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 24 მაისს გამგეობის სადგომში **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის დუქნებზე მეორე სართულის დადგმა და ქვემო სართულის შეკეთება აფთიაქისთვის.

პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, 12-დან 2 საათამდე. სავარაუდო აღრიცხვა სამუშაოსი უდრის 16,834 მ. 40 კ. ბე უნდა წარუდგინოს 10% რაოდენობა. (3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—58)

მცხეთაში იყიდება

იაფად და შეღავათიანის პირობებით ნაჭრებად დაყოფილი სააგარაკო ადგილები, რკინის გზის სადგურის მახლობლად. ფულის გადახდა მყიდველს შეეძლება სამის წლის განმავლობაში. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება რკინის გზის ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტში ყოველ დღე.

ესტატე ჩხარტიშვილი

(6—85—5)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების" ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—35)

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 2157.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა ს. ბ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)